მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

მემორანდუმი

ქ. თბილისი 05 მარ 2018 წელი

ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მამია ფხაკაძის სახით და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), წარმოდგენილი უნივერსიტეტი რექტორის, ვალენტინა საყვარელიძის მიერ, (შემდგომში – მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. **მემორანდუმის საგანი**

   წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთ–თანამშრომლობა.

2. **მემორანდუმის მიზანი**

   წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი (შედარებითი) კვლევების, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარებვის ხელშეწყობისაკენ.

3. **მემორანდუმის ამოცანები**

   ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ:

   3.1 სამართლის კლინიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პრაქტიკული კურსების გავლა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში, თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

4. **მხარეთა უფლება–მოვალეობანი**

   4.1 მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

   4.2 დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.3 წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე;

5. დასკვნითი დებულებები

5.1 წინმდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად;

5.2 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა მიერ შეწყვეტის მომენტამდე.

5.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ვალენტინა საყვარელიძე

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

მის: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ №53

საქართველო ქ. თბილისი, 0113

ტელ: (+995 32) 2 54 59 08

ელ–ფოსტა: thu-posta@thu.

ვებ–გვერდი: thu.edu.ge

ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლო

მამია ფხაკაძე

ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლო

მის: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №6, 3700

ტელ.: (+995 341) 24-08-07